

#04/03-556

2 მარტი, 2017

საქართველოს პარლამენტის  
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების  
კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

წარმოგიდგენთ, მწვანე ალტერნატივას კომენტარებსა და რეკომენდაციებს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონპროექტთან „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, კანონპროექტის აღნიშნული ვარიანტი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა დედაქალაქის ტერიტორიაზე ხეების ჭრასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული წერილი და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტი წარადგინოთ მათი გათვალისწინებით.

დანართი: 5 ფურცელი.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

---

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი

**მწვანე ალტერნატივას კომენტარები და რეკომენდაციები**  
**საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ**  
**მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით**

**„ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და**  
**სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში**  
**ცვლილების შეტანის თაობაზე**

**1. კომიტეტის მიერ შემოთავაზებული რედაქცია 1<sup>1</sup> მუხლთან დაკავშირებული კომენტარები:**

- ტერმინის „ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკომპენსაციო შესაბამისი ღონისძიება“ ნაცვლად უკეთესია გამოყენებული იქნას „ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიება“. თუმცა ხაზი უნდა გაესვას, იმ პრინციპულ საკითხს, რომ „მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების თანხა ან/და საკომპენსაციო რგვები“ არ შეიძლება განიხილებოდეს/განისაზღვროდეს, როგორც ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო და/ან შემარბილებელი ღონისძიება. ამრიგად ეს ტერმინი და მით უმეტეს, მისი განმარტება, არ არის მისაღები.
- ტერმინი „საკომპენსაციო რგვები“ (მოჭრილი მწვანე ნარგავების სანაცვლოდ სულ მცირე იმავე რაოდენობის მწვანე ნარგავების გაშენება და მოვლა) - ეს განმარტება მიუღებელია და საერთოდ ამოსაღებია. როგორც წესი, იმავე რაოდენობის დარგვა არასოდეს არ არის საკმარისი. დარგვა ხდება 1-3, 1-5 ან მეტი შეფარდებით, ან უფრო ხშირად, ფართობის მიხედვით, როგორც მინიმუმ, იმავე ზომისა და ხარისხის/ეკოლოგიური ღირებულების ჰაბიტატის აღდგენის პირობით და ა.შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე კვლევის და მოლაპარაკების საგანია - საკომპენსაციო რგვები ფართობის მიხედვით მოხდება თუ ნერგების რაოდენობის მიხედვით და როგორი შეფარდებით. ამავდროულად, დარგვა არაფერს არ ნიშნავს, თუ არ ახლავს მინიმუმ 4 წლით მოვლის ღონისძიებების ვალდებულება. ამდენად კანონში შეტანით და მით უმეტეს, „ტერმინების განმარტებით“, ამ საკითხის დარეგულირება არ იქნება სწორი.
- გაუგებარია, რატომ ნიშნავს გახმარი ხე „ზეხმელს“?
- მიუღებელია განმარტება ტერმინისა „გადაბერებული ხე“ (სწრაფმოზარდი სახეობების მწიფე და გადაბერებული ხე, რომელსაც მიღწეული აქვს საამორტიზაციო ხნოვანება (ვერხვი, აკაცია, ტირიფი 40-50 წ.).“ ამის მიხედვით, უნდა მოიჭრას თბილისის მცენარეების 80%. ამასთანავე, გაუგებარია რას ემსახურება ეს ჩანაწერი, თუ არა ხეების მასობრივ ჭრაზე დეველოპერებისთვის ნებართვის მიღების გაადვილებას.

**რეკომენდაცია**

საჭიროა ჩამოყალიბდეს ტერმინი „ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები“. სხვა ტერმინების შეტანა შესაძლოა არ იყოს საჭირო ჩვენი რეკომენდაციების (შემოთავაზებული რედაქციის) გათვალისწინების შემთხვევაში - იხ. ქვემოთ.

[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)

**„ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები“** - ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ განსაზღვრული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების იერარქიის დაცვით (1. ზიანის თავიდან არიდება; 2. ზიანის შერბილება; 3. დაზიანებული გარემოს აღდგენა; 4. კომპენსაცია) განსაზღვრული კომპლექსური ღონისძიებები, რაც გულისხმობს პირველ რიგში მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრას და თავიდან აცილებას, შემდგომ - ზემოქმედების შერბილებას (როცა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია), შემდეგ - დაზიანებული გარემოს აღდგენას (როცა იერარქიის წინა ორი საფეხურის ღონისძიება არასაკმარისი ან შეუძლებელია) და ზარალის ანაზღაურებას-ფულად კომპენსაციას (როცა იერარქიის წინა სამი საფეხურის ღონისძიება არასაკმარისი ან შეუძლებელია). „ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების“ განხორციელება ხდება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის გამოყენებით.

**კომიტეტის მიერ შემოთავაზებული მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის რედაქცია:**

“მეორე და მესამე კატეგორიებისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების, აგრეთვე მათზე მშენებლობის განხორციელების დროს შესაბამისი ორგანოების მიერ მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია:

ა) დაავადებული (რომლის განკურნებას შეუძლებელია), ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზირებული) და ავარიული ხეების არსებობისას, ასევე ასეთი ხეების შესაძლო წაქცევით ადამიანის სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობისათვის, ასევე სხვისი კერძო საკუთრების ან მისი ცალკეული ელემენტებისათვის საფრთხისა და ზიანის შესაძლო მიყენების თავიდან აცილების მიზნით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებული პირი თავისუფლდება საკომპენსაციო ღონისძიებებისგან.”

**კომენტარი:**

წარმოდგენილი რედაქცია, რომელიც ააშკარავებს, რომ ინიცირებული კანონპროექტის მთავარი დანიშნულება სამშენებლო კომპანიების ლობირებაა, პრინციპულად მიუღებელია. ხის მოჭრა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია დაავადების გავრცელების პრევენციისათვის. წარმოდგენილ რედაქციაში კი ნათლად ჩანს, რომ ჭრის მიზანია მიწათსარგებლობის ტიპის ცვლილება, გასხვისებულ ტერიტორიებზე მშენებლობის განხორციელება. აღნიშნული ქმედება, ანუ მწვანე საფარის ხარჯზე მშენებლობის განხორციელება, წარმოადგენს თბილისის ისედაც კრიტიკულად შემცირებულ მწვანე საფარზე შეუქცევად მავნე ზემოქმედებას. დღეისათვის ასეთი ქმედების ერთადერთი შემაკავებელი ღონისძიება არის „საკომპენსაციო ღონისძიებები“, შემოთავაზებული ცვლილება კი ამ მექანიზმსაც აუქმებს. სამწუხაროდ, კომიტეტის მომზადებული ვარიანტი არაფრით განსხვავდება დეპუტატ დავით სონდულაშვილის ინიცირებული კანონპროექტისგან. ეს ცვლილება გამოიწვევს მწვანე საფარის განუხრელად შემცირებას. კანონპროექტის ავტორები ვერანაირად ვერ ასაბუთებენ, რატომ არ უნდა გადაიხადონ

საკომპენსაციო თანხები მშენებლობით დაინტერესებულმა პირებმა. მით უმეტეს, გადასახადი არც ისე დიდია მშენებელი კომპანიებისთვის, თუ ისინი მასობრივად არ აპირებენ მწვანე ნარგავების გაჩეხვას. ამ კანონის მიღების შემთხვევაში „ამოქმედდება“ დეველოპერების მხრიდან მწვანე საფარის შემცირების კიდევ ერთი მექანიზმი: დაზიანებულ-დაავადებული ხეების მოჭრის საბაზით მოხდება დიდ ფართობებზე ტერიტორიების გასუფთავება, სადაც გარკვეული ხნის შემდეგ მოითხოვენ მშენებლობის უფლებას. მაგალითად, ასეთი მოსალოდნელია ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

### **რეკომენდაცია:**

გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

„მეორე და მესამე კატეგორიებისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში: თუ არსებული მწვანე ნარგავები დაავადებულია, ხოლო მათი ჭრა აუცილებელია დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით; ან მოქალაქეების, კერძო და სახელმწიფო ქონების უსაფრთხოების მოსაზრებებით. დაავადებული ნარგავების ჭრის აუცილებელი პირობაა მათი ჩანაცვლება ახალი ნარგავებით, იმავე საკუთრების ტერიტორიაზე გამწვანებული ფართობის შემცირების გარეშე.“

### **კომიტეტის მიერ შემოთავაზებული მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის რედაქცია:**

„ბ) სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მწვანე ნარგავები პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს ხდის მშენებლობის განხორციელებას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვებია მხოლოდ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიების - აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის შემდგომ.“

### **კომენტარი:**

აღნიშნული პუნქტი უცვლელი სახით არის გადასული არსებული რედაქციიდან. ეს არის ძალიან პრობლემური საკითხი. ამ პუნქტის მოშველიებით ხშირად ხდება დეველოპერების მიერ ჯანსაღი ხეების ჭრის „გამართლება“. ეს ჩანაწერი მათ აძლევთ საშუალებას, რომ მშენებლობის ნებართვის აღებისას, გართულების თავიდან არიდების მიზნით, საერთოდ არ მოითხოვონ ხის ჭრა და მშენებლობა განახორციელონ უშუალოდ ხე-მცენარეების სიახლოვეს. შემდეგ კი, მშენებლობის პროცესში, ან მისი დასრულების შემდეგ, ადვილად მოიპოვებენ მოჭრის უფლებას, იმ საბაზით, რომ ნებართვა კანონიერად აქვთ მოპოვებული, ხოლო ხე-მცენარე ხელს უშლის ამ „კანონიერ“ მშენებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე მიუღებელია კომიტეტის მიერ მოწოდებულ ვარიანტში „დ“ ქვეპუნქტი: - „დ) თუ მიწის ნაკვეთზე განლაგებული მწვანე ნარგავები უშუალოდ აზიანებს აშენებულ კონსტრუქციას. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ატარებს საკომპენსაციო რგვებს ან იხდის საკომპენსაციო რგვებისათვის საჭირო თანხას“. გაუგებარია, რატომ არის ამ საბაბით წარმოებული მწვანე საფარის შემცირება ცალკე შემთხვევად განხილული.

#### **რეკომენდაცია:**

ზემოთ აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, გთავაზობთ შემდეგ ვარიანტს:

„მშენებლობის ნებართვის სათანადო წესით გაცემისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სამშენებლო პროექტი ისე იყოს შედგენილი, რომ მწვანე ნარგავებმა არ გამოიწვიონ მშენებლობის შეფერხება, ან სამშენებლო ტერიტორიაზე მათმა დატოვებამ შეუძლებელი გახადოს მშენებლობის განხორციელება ან უშუალოდ დააზიანოს აშენებული კონსტრუქცია. ასეთი შემთხვევების გათვალისწინებით, მოსაჭრელი ხეების ფართობი არ უნდა აჭარბებდეს მთელი გამწვანებული ტერიტორიის 15%-ს.“

#### **რეკომენდაცია: აღნიშნულ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი:**

მეორე და მესამე კატეგორიებისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების და/ან მათზე მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელი პირობაა ტერიტორიის არანაკლებ 85% ფართობზე არსებული მწვანე საფარისა და მერქნიანი მცენარეების შენარჩუნება.

#### **კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი:**

„მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მიწის მესაკუთრე/მოსარგებლე ვალდებულია წერილობით აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მწვანე ნარგავების დაავადების აღმოჩენის ან ამ ნარგავების მიერ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე, სხვისი საკუთრებისათვის ზიანის მიყენების მოსალოდნელი (შესაძლო) საფრთხის შესახებ.“

#### **კომენტარი:**

გაუგებარია, რომელი ტიპისა და სიმძიმის დაავადების აღმოჩენაზეა საუბარი. რაიმე ტიპის დაავადება შეიძლება ყველა მცენარეს ექონდეს. გაუგებარია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ აცნობა.

კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი: „მე-6 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

8. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურებულია მწვანე ნარგავების მდგომარეობა შესაბამისი უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე პირ(ებ)ის მიერ და ამოწურულია გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შერბილების ღონისძიებები.

**კომენტარი:**

არ არის ნათელი, რას ნიშნავს „შესაბამისი უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე პირი“ და როგორ, რა სამართლებრივი მექანიზმით დგინდება ეს? რას ნიშნავს „შესაბამისი გამოცდილება?“ დასაზუსტებელია / შესამუშავებელია მექანიზმები, რომელითაც მოხდება ასეთი პირის განსაზღვრა (მაგ. აკრედიტაცია, საქმიანობის ლიცენზიის შემოღება, რეესტრი ან სხვა).

ასევე დასაზუსტებელია/შესამუშავებელია მექანიზმები, რომლითაც მოხდება გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები. მხოლოდ ეს რედაქცია, „მშრალი ჩანაწერი“, არაფერს არ ნიშნავს და მკვდრადშობილი დებულება იქნება, რომელიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც საბოლოო ჯამში მწვანე საფარის მდგომარეობის გაუარესებაზე იმოქმედებს (იხ. მაგალითად, ზევით ტერმინების განმარტებასთან დაკავშირებული ჩვენი რეკომენდაცია).

**რეკომენდაცია:**

აუცილებელია დაემატოს პუნქტი, რომლითაც დადგინდება, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ასევე, საჯარო ადმინისტრაციული წესით უნდა გაიცეს მშენებლობის ნებართვა. სასურველია, ამ ორი ნებართვის გაცემა იყოს ერთიანი პროცესი და სამშენებლო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ჭრასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება არ გაგრძელდეს უკვე გაცემული მშენებლობის ნებართვის პირობებში.